



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*29*“ *07* 2015 წელი

ეგზ. N1

საქართველოს პარლამენტის აპარატის

2012 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდის შესაბამისობის

აუდიტის ანგარიში *აშ 51/00*

შინაარსი

შემოკლებები	2
დასკვნა კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.....	3
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ	13

შემოკლებები

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე - პარლამენტის თავმჯდომარე
საქართველოს პარლამენტის აპარატი - აპარატი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საქართველოს მთავრობა - მთავრობა
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სახაზინო სამსახური - სახაზინო სამსახური

დასკვნა კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს პარლამენტის აპარატის 2012 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდის მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აპარატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ასევე ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გასცეს დასკვნა პარლამენტის აპარატის საქმიანობის კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ აპარატის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება თუ არა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება

პარლამენტის აპარატის 2012 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა (დამტკიცებული ბიუჯეტი 35,000.4 ათასი ლარი) 35,000.4 ათასი ლარი შეადგინა. საკასო ხარჯი კი ამ პერიოდში შეადგენდა 30,011.2 ათას ლარს.

2013 წელს აპარატის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა (დამტკიცებული ბიუჯეტი 54,091.0 ათასი ლარი) 54,243.2 ათასი ლარი შეადგინა. საკასო ხარჯი კი ამ პერიოდში შეადგენს 52,462.8 ათას ლარს.

2014 წელს აპარატის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა (დამტკიცებული ბიუჯეტი 52,091.0 ათასი ლარი) 51,122.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა კი 49,193.4 ათასი ლარი შეადგინა.

პარლამენტის აპარატის საკასო ხარჯები

მუხლი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი
შრომის ანაზღაურება	20,027,150	23,161,127	23,745,786
საონელი და მომსახურება	8,072,353	13,712,976	15,744,696
გრანტები	23,559.68	22,972	49,635
სოციალური უზრუნველყოფა	199,914	354,012	418,545
სხვა ხარჯები	145,927	153,025	3,651,611
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,542,314	15,047,577	5,583,159
ვალდებულებების კლება	-	11,076	-
ჯამი	30,011,218	52,462,765	49,193,432

2012 წელთან შედარებით 2013-2014 წლებში პარლამენტის აპარატის ასიგნებების ზრდა გამოწვეულია აპარატის თანამშრომლებისა და პარლამენტარების ბინით უზრუნველყოფის ხარჯების გაზრდით¹ და საქართველოს პარლამენტის თბილისის შენობის სარემონტო სამუშაოებით.

¹ კონსტიტუციის შესაბამისად პარლამენტის ადგილსამყოფელის ქ. ქუთაისში გადატანის გამო.

ბუნებრივი აირის ხარჯი

აუდიტით დადგენილ იქნა, რომ საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის თბომომარაგება პარლამენტის ქ.ქუთაისში გადასვლასთან დაკავშირებით შეწყვეტილი იქნა 2012 წლის 28 სექტემბრიდან². შესაბამისად 2012 წლის 28 სექტემბრიდან 2012 წლის 30 დეკემბრამდე ბუნებრივი აირის მოხმარებაზე ხარჯები გაწეული არ არის. 2012 წლის 30 დეკემბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდში კი გათბობაზე მოხმარებული გაზის საფასურის სახით შპს „ყასტრანსგაზ-თბილისზე“ გადარიცხულია სულ 599.8 ათასი ლარი. აქედან პარლამენტის აპარატის და კომიტეტების ნაწილობრივ ქ.თბილისში გადმოსვლამდე³ გახარჯულია 447.8 ათასი ლარი.⁴

აუდიტის მიმდინარეობისას ქ.თბილისის ნიაღვრის ქუჩაზე მდებარე პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის თბომომარაგებისათვის განკუთვნილი საქვების ვიზუალური დათვალიერებით და აპარატის თანამშრომელთა სიტყვიერი განმარტებით დადგენილ იქნა, რომ აღნიშნული საქვებიდან პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის თბომომარაგებასთან ერთად⁵ (ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, უსასყიდლოდ) ხორციელდება პარლამენტის შენობის მიმდებარედ არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის გათბობაც. კონკრეტულად თუ რა მოცულობის და ღირებულების ბუნებრივი აირის მოხმარება განხორციელდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მიერ სათანადო აღრიცხვის უქონლობის გამო დაუდგენელია.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თბილისში გასამართი ღონისძიების დაფინანსება

2015 წლის 14-15 მაისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თბილისში გასამართი ყოველწლიური შეხვედრის სათანადო დონეზე ორგანიზების მიზნით ფინანსთა სამინისტროსადმი დაკისრებული ორგანიზაციული საკითხების შესრულების უზრუნველყოფა ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 16 სექტემბრის N 275 ბრძანების შესაბამისად დაევალა სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ოქტომბრის N 1904 განკარგულების შესაბამისად შემსყიდველ ორგანიზაციებს უფლება მიეცათ ღონისძიებისათვის საჭირო საქონლის, სამშენებლო სამუშაოსა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა 2014-2015 წლებში განხორციელებინათ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის N 2362 განკარგულების მე-2 პუნქტით საბიუჯეტო ორგანიზაციებს მიეცათ უფლება

² შეწყდა ბუნებრივი გაზის მიწოდება და დაილუქა შესაბამისი ონკანი

³ 2014 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი

⁴ მათ შორის 103.8 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია 2013 წლის 1 მაისამდე - პარლამენტში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე

⁵ შესაბამისი მრიცხველისა და ონკანის გარეშე

ლონისძიების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრები მიემართად სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ანგარიშზე.

სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ 2014 წლის 30 დეკემბრის N 10-05/2125 წერილით საქართველოს პარლამენტს ეთხოვა მონაწილეობა მიეღო ლონისძიებისათვის საჭირო სახსრების მობილიზაციაში. ზემოაღნიშნული მთავრობის განკარგულებებისა და „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ 2014 წლის 30 დეკემბრის N 10-05/2125 წერილის შესაბამისად პარლამენტის აპარატის უფროსის 2014 წლის 30 დეკემბრის N 15996 წერილით პარლამენტის თავჯდომარეს ეთხოვა დაერთონება 3,500.0⁶ ათასი ლარის სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ანგარიშზე გადარიცხვისათვის.

2014 წლის 30 დეკემბერს 3,500.0 ათასი ლარი პარლამენტის ხაზინადართა საბჭოსა და პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილების (თანხმობის) გარეშე ჩარიცხული იქნა სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ანგარიშზე.

აღნიშნული თანხის გადარიცხვიდან 22 კალენდარული დღის შემდეგ, პარლამენტის ხაზინადართა საბჭოს 2015 წლის 21 იანვრის N404 გადაწყვეტილებით ხაზინადართა საბჭომ რეკომენდაცია მისცა პარლამენტის ბიუროს, რომ პარლამენტის აპარატს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშიდან 3,500.0 ათასი ლარის სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ანგარიშზე გადარიცხვასთან დაკავშირებით განეხორციელებინა შესაბამისი პროცედურები. პარლამენტის ბიუროს 2015 წლის 22 იანვრის N242/22 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა ხაზინადართა საბჭოს ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია და პარლამენტის აპარატს დაევალა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეხორციელებინა სათანადო პროცედურა 2015 წლის მაისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზების უზრუნველსაყოფად საქონლის, სამშენებლო სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვისათვის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშიდან 3,500.0 ათასი ლარის „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ანგარიშზე გადარიცხვის მიზნით.

გამოყენებული აქტივები

2012 წლის 10 აგვისტოს პარლამენტის აპარატსა და ლიტვის რესპუბლიკის კომპანია „ლიეტუვოს მონეტუ კალიკლას“ შორის გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებული ხელშეკრულების (N 10/08/1) შესაბამისად 2012 წლის 26 სექტემბერს შესყიდულია ⁷ 20 ცალი 18.3 ათასი ლარის ღირებულების თავისუფლების ორდენი და 50 ცალი 6.6 ათასი ლარის ღირებულების პარლამენტის მედალი. აღნიშნული ორდენების და მედელების შესაბამისი დანიშნულებით გაცემა არ განხორციელებულა და

⁶ აღნიშნული თანხის განსაზღვრის შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა

⁷ ქ. ქუთაისში პარლამენტის შენობის ლოგოთი

დღეის მდგომარეობით ირიცხება ნაშთად პარლამენტის სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების შემადგენლობაში.

შესყიდვები

2013 წლის 24 ივლისს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი⁸ მსუბუქი ავტომობილების შეძენაზე ღირებულებით 298.0 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით⁹, მაშინ როცა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მსუბუქი ავტომობილის მიწოდება ან/და იმპორტი განთავისუფლებულია დღგ-ის გადასახადისაგან.¹⁰

აუდიტის პერიოდში დღგ-ის გათვალისწინებით გამოცხადებულ (100.0 ათას ლარამდე ღირებულების) ტენდერებში დღგ-ის თანხა გადახდილია ისეთ მომწოდებლებზე, რომლებიც არ იყვნენ დღგ-ს გადამხდელები. 10 შემთხვევაში 134.1 ათას ლარის შესყიდვაზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის წარმოდგენის გარეშე დღგ-ის სახით გადახდილია სულ 20.5 ათასი ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად პარლამენტს უფლება ჰქონდა ტენდერი გამოეცხადებინა როგორც დღგ-ის გათვალისწინებით, ისე დღგ-ის გარეშე. „დღგ-ის გარეშე ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების დადებისას ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად“.¹¹ შესაბამისად 100.0 ათას ლარამდე სავარაუდო ღირებულების მქონე შესყიდვებში ტენდერების დღგ-ის გარეშე გამოცხადების შემთხვევებში პარლამენტის ფინანსური სახსრები ეკონომიურად დაიხარჯებოდა.

მივლინება

2012-2014 წლებში მორიგი სამივლინებო ხარჯების ავანსად გაცემა ანგარიშვალდებულ პირებზე ზოგიერთ შემთხვევებში განხორციელებულია წინა მივლინებებზე ფაქტიურად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენლობისა და შესაბამისად ძველი სამივლინებო ანგარიშების დახურვის გარეშე. დარღვეულია „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულების მე-18 და მე-19 მუხლებისა და საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის 2008 წლის 20 აგვისტოს N98 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის წევრთათვის და

⁸ SPA130016124

⁹ ფაქტიურად დადგენილ იქნა, რომ მოწოდებული ავტომანქანების ღირებულება არ მოიცავდა დამატებული ღირებულების გადასახადს

¹⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი.

¹¹ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის №9 ბრძანების მე-10 მუხლი

პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-2 მუხლის კ პუნქტის მოთხოვნები.

პარლამენტის დარბაზების რემონტი

ქ.თბილისში რუსთაველის გამზირ N 8-ში მდებარე შენობაში არსებული საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა, პირველი რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზებისა და ყოფილი კინოდარბაზის მოწყობის სამუშაოების ჩატარებისათვის სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ კომპანია შპს „ვერნიკი & კომპანის“ მიერ 2012 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებისა (N 21/12/1) და 2013 წლის 18 თებერვალს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის (N 18/02-2) შესაბამისად შესრულებულია 97.5 ათასი ლარის სამუშაოები.

აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით, კომპანიის მიერ საკონკურსო წინადადებაზე წარმოდგენილ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ პლენარულ სხდომების დარბაზში ჩასატარებელ სხვადასხვა სახის სამუშაოებთან ერთად მოხდებოდა დაზიანებული ნაწილების აღდგენა. პირველი რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზები აღდგებოდა იგივე სახით, როგორც ის ადრე იყო, აღდგებოდა ავეჯიც, პრეზიდენტი და კედლების დამუშავების სტილიც უცვლელი დარჩებოდა, ხოლო ქაღები გადარჩენილი იყო და აღდგებოდა თავისი პირვანდელი ფორმით.

პლენარულ სხდომათა, პირველი რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზების აღდგენისა და რეკონსტრუქციის ჩატარების მიზეზების, აღდგენამდე არსებული მდგომარეობის დაფიქსირებისა და შესაბამისი დეფექტური აქტის შედგენის შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.

პარლამენტის აპარატის მიერ 2013 წლის 21 ოქტომბერს „SONY PROFESSIONAL SOLUTIONS MEA FZ LLC“-თან გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულების¹² (N 1013 და N 24/12/10) შესაბამისად 2014 წლის იანვარიდან 2014 წლის აგვისტომდე პერიოდში პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე (აპარატურის გარდა) დღ-ს გარეშე გახარჯულია სულ 742.3 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი 1,299.0 ათასი ლარი, ხოლო პირველი რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზების აღდგენაზე გახარჯულია სულ ასევე დღ-ს გარეშე 153.8 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი 269.2 ათასი ლარი.¹³

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ამონაწერის მიხედვით საქართველოს პარლამენტი სარგებლობის უფლებით (არსებობის ვადით) განთავსებული იყო ქ.თბილისში რუსთაველის გამზირ N 8-ში მდებარე 12934 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობებში. პარლამენტის ქ. ქუთაისში გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

¹² საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 ივნისის და 2013 წლის 22 აგვისტოს N 560 და N 1102 განკარგულებები

¹³ კურსი საშუალოდ 1.75

მინისტრის 2012 წლის 15 აგვისტოს N 1-1/1653 ბრძანებისა და 2012 წლის 16 აგვისტოს N 05/17636 წერილის შესაბამისად პარლამენტს აღნიშნული შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლება განესაზღვრა 2012 წლის 23 ნოემბრამდე პერიოდით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 16 აგვისტოს N 1-1/1661 ბრძანების შესაბამისად ქ.თბილისში რუსთაველის გამზირ N 8-ში მდებარე 12934 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობები შეტანილი იქნა სს „საპარტნიორო ფონდის“ კაპიტალში. შენობა-ნაგებობების ღირებულების პარლამენტის ბალანსიდან მოხსნა და „საპარტნიორო ფონდზე“ გადაცემა არ განხორციელებულა.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 9 ნოემბრის N 1927 განკარგულების შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის მიზნით სს „საპარტნიორო ფონდის“ კაპიტალიდან ამოღებული იქნა ზემოთ აღნიშნული შენობა-ნაგებობები. პარლამენტის აპარატის 2012 წლის 21 ნოემბრის N 8876/2-1 წერილის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 23 ნოემბრის N 5/3264 წერილით პარლამენტს კვლავ არსებობის ვადით სარგებლობაში გადაეცა ქ.თბილისში რუსთაველის გამზირ N 8-ში მდებარე 12934 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით.

საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის თანახმად საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქ. ქუთაისი. დღეის მდგომარეობით მე-8 მოწვევის პარლამენტი ფუნქციონირებს როგორც ქ.უთაისში მდებარე პარლამენტის სასახლეში ასევე სახელმწიფოსგან უვადო სარგებლობის უფლებით გადმოცემულ ქ.თბილისში რუსთაველის გამზირი N8-ში მდებარე სასახლეში.

საქართველოს ორ ქალაქში მდებარე შენობა-ნაგებობებში პარლამენტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს სხვადასხვა სახის ხარჯების გაზრდას. კერძოდ: ქ.უთაისში მდებარე პარლამენტის ახალი შენობა ბუღალტრულად პარლამენტის ბალანსზე არ ირიცხება.¹⁴ შესაბამისად აღნიშნულ შენობაზე გაწეული კომუნალური ხარჯების (გაზი, წყალი, ელექტროენერგია) გადახდა პარლამენტის ბიუჯეტიდან არ ხორციელდება¹⁵. ქ.თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაზე კი 2013-2014 წლებში კომუნალური ხარჯების სახით გაწეულია სულ 748.3 ათასი ლარის ხარჯი.

პარლამენტის წევრის ბინით უზრუნველყოფის ხარჯებმა 2012 წელს შეადგინა 435.0 ათასი ლარი, ხოლო 2013-2014 წლებში კი 2,737.7 ათასი ლარი¹⁶. „საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 18 იანვრის N 05/3 ბრძანების შესაბამისად აპარატის თანამშრომლებზე დადგენილ დანამატში თანამდებობრივ სარგოზე დანამატთან ერთად განსაზღვრული იქნა დანამატი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისათვის. 2013-2014 წლებში პარლამენტის

¹⁴ ირიცხება შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ ბალანსზე

¹⁵ პარლამენტის ბიუჯეტიდან გადახდილია მხოლოდ ქ.თბილისში რუსთაველის გამზირ N 8-ში მდებარე მდებარე შენობა-ნაგებობებზე გაწეული კომუნალური ხარჯები

¹⁶ აქედან 2013 წელს 1,367.3 ათასი ლარი და 2014 წელს 1,370.4 ათასი ლარი

აპრატის თანამშრომლების ბინით უზრუნველყოფის ხარჯებმა შეადგინა 5,869.1 ათასი ლარი.¹⁷

გრანტი

საქართველოს პარლამენტსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის 2011 წლის 22 ნოემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების¹⁸ შესაბამისად „პარლამენტის კანონშემოქმედების შესაძლებლობათა გაძლიერებისა და პოლიტიკის ფორმულირების“ პროექტისათვის გამოყოფილი იქნა გრანტი 474,5 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული გრანტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურებაზე, ღირებულებით 42,5 ათასი აშშ დოლარი (ყველა გადასახადის ჩათვლით), 2012 წლის 30 აპრილს პარლამენტსა და ფიზიკურ პირ ოსკარ კატენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების¹⁹ დანართი „C“²⁰ მიხედვით კონსულტანტს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღეში უნდა წარმოედგინა შესრულებული სამუშაოების ამსახველი საწყისი ანგარიში, 40 დღეში შუალედური ანგარიში, ხოლო 135 დღეში კი საბოლოო ანგარიში. აღნიშნული ანგარიშების პარლამენტში წარმოდგენის შესახებ მტკიცებულებები მოპოვებული ვერ იქნა.

პარლამენტის წევრის ბიურო

„საქართველოს პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 2 მარტის დადგენილებაში²¹ 2012 წლის 17 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით²² მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისა და მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის პარლამენტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად გამოეყო 5.0 ათასი ლარი, ასევე ყოველთვიურად 5.0 ათასი ლარი.

„მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიუროს ფუნქციების, ორგანიზებისა და საქმიანობის წესის და პარლამენტის ბიუჯეტიდან ბიუროსათვის გამოყოფილი თანხის განკარგვის წესის განსაზღვრის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად თითოეული ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის ერთჯერადად გამოყოფილი 5000 ლარით პარლამენტის მიერ შესყიდულია ბიუროების ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური საშუალებები,²³ ხოლო ბიუროსათვის ყოველთვიურად

¹⁷ აქედან 2013 წელს 2,888.8 ათასი ლარი და 2014 წელს 2,980.3 ათასი ლარი

¹⁸ N TF099612

¹⁹ N1C-1; 2012 წლის 30 აპრილი

²⁰ კონსულტანტის ანგარიშგების ვალდებულებები (Consultant's Reporting Obligations)

²¹ N2714-1ს

²² 2012 წლის 17 დეკემბრამდე პერიოდში თვითმართველ ქალაქებში არჩეული მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროზე გამოყოფილი იყო 1400 ლარი, ხოლო თვითმართველ ერთეულებში 1070 ლარი.

²³ აღნიშნული ფასეულობები ბუღალტრულად აღრიცხულია პარლამენტის აპარატში

გამოყოფილი 5000 ლარიდან პარლამენტის აპარატი მაჟორიტარი პარლამენტის წევრის წარდგინებით ახორციელებს: ბიუროს ფუნქციონირებისათვის საჭირო ძირითადი საშუალების შეძენას, ბიუროს მოსაწყობი საოფისე ფართის დასაქირავებელი თანხის ანაზღაურებას და წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად ბიუროს თანამშრომლებისთვის ხელფასების ანაზღაურებას. დარჩენილი თანხა მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს ერიცხება შესაბამის საბანკო ანგარიშზე. აღნიშნული ანგარიშიდან ბიუროს მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება: საკომუნიკაციო საშუალებების, საწვავის, სატრანსპორტო საშუალებების ქირავნობის, ბიუროს საოფისე ფართობის მიმდინარე, არაკაპიტალური სარემონტო სამუშაოების, ბიუროს ფუნქციონირებისათვის საჭირო ერთგვაროვანი ძირითადი საშუალებების - არაფინანსური აქტივების (გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა) შეძენისა (არაუმეტეს 5000 ლარისა) და ბიუროს ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა ხარჯები.

2012 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდში საქართველოში არსებული 73 საარჩევნო ოლქის და შესაბამისად ამ ოლქებში განთავსებულ მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრების ბიუროებს წარმომადგენლობითი ხარჯების სახით გადაერიცხათ სულ 9,082.6 ათასი ლარი²⁴. აქედან ბიუროებში ხელშეკრულებების შესაბამისად დანიშნული მუშაკების ხელფასებისათვის გადარიცხულია 5,373.3 ათასი ლარი, ბიუროს მოსაწყობი საოფისე ფართობის დასაქირავებელი თანხის სახით გადარიცხულია 211.7 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა 3,497.6 ათასი ლარი კი გადარიცხულია მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების შესაბამის საბანკო ანგარიშებზე.

ბიუროებისათვის წარმომადგენლობითი ხარჯების სახით 2012-2014 წლებში გამოყოფილი და გადარიცხული თანხები²⁵ ბუღალტრულად ფაქტიური ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე სრულად გატარებულია და აღრიცხულია პარლამენტის როგორც საკასო, ასევე ფაქტიურ ხარჯებში, მაშინ როდესაც „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საბუღალტრო ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ სამეურნეო ოპერაციების მოხდენის ფაქტს, ხოლო მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ეკონომიკური მოვლენები აღრიცხვაში აისახება მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების მიღებისას.

აუდიტით დადგენილ იქნა, რომ პარლამენტის აპარატის მიერ ბიუროების საბანკო ანგარიშებზე თანხების ჩარიცხვა ხდება ყოველთვიურად მათ ანგარიშებზე არსებული ნაშთების გაუთვალისწინებლად. შედეგად ბიუროების საბანკო ანგარიშებზე გაუხარჯავი თანხების სახით ირიცხებოდა 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 567.7 ათასი ლარი, 2015 წლის 1 იანვრისათვის კი 595.5 ათასი ლარი.²⁶

²⁴ მათ შორის 2012 წლის 6 თვეში 408.5 ათასი ლარი, 2013 წელს 4, 296.5 ათასი ლარი და 2014 წელს 4,377.6 ათასი ლარი.

²⁵ 9,082.6²⁵ ათასი ლარი.

²⁶ აღნიშნული თანხები როგორც ავღნიშნეთ ბუღალტრულად გატარებულია პარლამენტის წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლის ფაქტიურ ხარჯებში, რეალურად მათი ფაქტიური ხარჯვის გარეშე

მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიუროები დარეგისტრირებული არიან როგორც „სახელმწიფო ორგანოები“, მინიჭებული აქვთ საიდენტიფიკაციო კოდი, კომერციულ ბანკებში გახსნილი აქვთ ანგარიშსწორების ანგარიშები. აღნიშნული ბიუროები ბუღალტრულ აღრიცხვას არ აწარმოებენ, შესაბამისად მათ მიერ 2013-2014 წლებში განხორციელებული ფინანსური ოპერაციები როგორც პარლამენტის აპარატის, ასევე ბიუროების მიერ ბუღალტრულად აღრიცხული არ არის.²⁷

აუდიტით დადგენილ იქნა, რომ 2013-2014 წლებში ბიუროების ანგარიშებზე ჩარიცხული თანხებიდან არაფინანსური აქტივების სახით შესყიდულია სხვადასხვა სახის მატერიალური ფასეულობები, მათ შორის ძირითადი საშუალებებიც.²⁸ აღნიშნული მატერიალური ფასეულობების ბუღალტრული აღრიცხვა (ბალანსზე ასახვა), შესყიდულ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა და შეძენილი არაფინანსური აქტივების ყოველწლიური სავალდებულო ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა. „მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიუროს ფუნქციების, ორგანიზებისა და საქმიანობის წესის და პარლამენტის ბიუჯეტიდან ბიუროსათვის გამოყოფილი თანხის განკარგვის წესის განსაზღვრის შესახებ“ დებულების 5² პუნქტის შესაბამისად კი მაჟორიტარი პარლამენტის წევრი ვალდებულია ყოველწლიურად არა უგვიანეს 15 დეკემბრისა ჩაატაროს შეძენილი ძირითადი საშუალებების-არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია²⁹ და ინვენტარიზაციის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია წარუდგინოს პარლამენტის აპარატს.³⁰

ბიუროების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შესახებ ინფორმაციიდან დადგენილ იქნა, რომ 2013-2014 წლებში საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში განთავსებული მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიუროებიდან ჩარიცხული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები³¹ სრულად წარმოდგენილი აქვს ყოველკვარტალურად მხოლოდ 65 ბიუროს. ზემოაღნიშნული დებულების მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად კი მაჟორიტარი პარლამენტის წევრი ვალდებულია პარლამენტის აპარატს 3 თვეში ერთხელ წარუდგინოს ინფორმაცია აღნიშნული თანხების ხარჯვის თაობაზე³², ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

მაჟორიტარი დეპუტატის 73 ბიუროდან 19 ბიურო განთავსებულია პარლამენტის აპარატის მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოებიდან და გამგეობებიდან უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით მიღებულ ფართებში, 13 ბიურო პარლამენტის აპარატთან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებების შესაბამისად განთავსებულია

²⁷ ასევე არ არის აღრიცხული წინა მე-7 მოწვევის მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობები.

²⁸ კერძოდ შესყიდულია: ტელევიზორები, მაგივრები, კომპიუტერული ტექნიკა, კონდიციონერები, სხვადასხვა სახის ავეჯი, მობილური ტელეფონები

²⁹ თუმცა ინვენტარიზაციის ჩატრება ბუღალტრულად აღურიცხავს აქტივებზე შეუძლებელია

³⁰ პარლამენტის აპარატი ბიუროებში ყოველწლიურად ატარებს მხოლოდ ბიუროების მატერიალურ-ტექნიკური უზურფრუქტისათვის ერთჯერადად გამოყოფილი 5000 ლარით პარლამენტის მიერ შესყიდული მატერიალურ ტექნიკური საშუალებების ინვენტარიზაციას.

³¹ ყოველკვარტალურად

³² შეძენილი ძირითადი საშუალებების-არაფინანსური აქტივების შეძენის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები კერძოდ კი ანგარიშ-ფაქტურა ან მიღება-ჩაბარების აქტი.

იჯარით აღებულ ფართებში, ხოლო 41 ბიუროს განთავსების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.

**პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ
ნორმებთან შესაბამისობის შესახებ**

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, პარლამენტის აპარატის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.

წამყვანი აუდიტორი

აუდიტორი

აუდიტორ-ასისტენტი

აუდიტორ-ასისტენტი



მურმან დარახველიძე

გიორგი მშვილდაძე

გიორგი ჭოლოკავა

ნიკოლოზ ღულათავა